სამართლებრივი თავისუფლების პოლიტიკური მენეჯენტი

ნათელა მაისურაძე
სამართლის დოქტორი

მენეჯმენტი ეკონომიკური პროცესების მართვას აღნიშნავდა ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში, მაგრამ ამ ტერმინმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჩვენს დღევანდელობაში და მას უკვე მართვის საერთო მნიშვნელობით იყენებენ სხადასხვა სფეროში.

პოლიტიკური მენეჯენტი პოლიტიკის მართვას გულისხმობს, ხოლო სამართლებრივი თავისუფლების პოლიტიკური მენეჯმენტი – სამართლებრივი სფეროს პოლიტიკურ განსაზღვრულობაზე აკეთებს აქცენტს, ვინაიდან პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამართლებრივ თავისუფლებას, ისევე როგორც ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სხვა სფეროებს.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი პოლიტიკის მნიშვნელობაზე სამართლებრივი თავისუფლების გზაზე, განვიხილეთ სამართლებრივი ტრანსფორმაცია და სამართლებრივი თავისუფლების გნოსეოლოგიური და ეთიკური ასპექტები და მათი მნიშვნელობა და ღირებულებითი შეფასებები ადამიანური პროგრესის თვალსაზრისით, როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე მთელი საზოგადოებისათვის.

თავისუფლება ნებითი, აზროვნებითი და მოქმედებითი აქტია, ამიტომ მონოგრაფიის ამ ნაწილში შევეცდები წარმოვადგინო სამართლებრივი თავისუფლების პოლიტიკური მენეჯმენტის მიზნები და ის ღირებულებები, რომლებსაც იგი შეძლებს დაამკვიდროს ცხოვრებაში.

მიზანი – ძირითადად ორი მომენტისაგან შედგება: პირველი – ესაა წარსულისა და აწმყოს იმ გამოცდილების გათვალისწინება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს წარმატებებსა და წარუმატებლობებში, ხოლო მეორე – მომავლის გააზრება და მისკენ მიზანმიმართული სვლაა შესაბამისი საშუალებების შერჩევის გზით.

ალბათ, ეჭვს არ იწვევს ის, რომ სწორად შერჩეული მიზანი მიშვნელოვნად განსაზღვრავს მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგს. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის შემოქმედებით უნარსა და აქტიურობას, რაც მის თავისუფლებაში გამოიხატება. რამდენადაც უფრო მაღალია შემოქმედებითი აქტიურობა, იმდენად უფრო თავისუფლად აღწევს იგი დასახულ მიზნებს. ხოლო შემოქმედებითი აქტიურობისთვის აუცილებელია ინტეგრალური აზროვნება და ნორმალური ფიზიკური მონაცემები.

ფლობს რა აღნიშნულ თვისებებს, ადამიანი თავისუფლად მართავს თავის ცხოვრებას და აძლევს მას აზრსა და მიმართულებას, ანუ აყენებს გონიერ მიზნებს – უახლოესს, შუალედურს, შორეულს, სტრატეგიულს, ტაქტიკურსა და, ბოლოს – უმაღლესს.

ამდენად, მრავალმხრივი, ინტეგრალური აზროვნება ხდება აქტიური, მამოძრავებელი ძალა, რომელიც მართავს ადამიანის ქცევას, ანიჭებს რა მის ქცევებს ჭეშმარიტად თავისუფალ ხასიათს.

ამასთან დაკავშირებით სამართლებრივი თავისუფლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი – მრავალმხრივი, ინტეგრალური აზროვნების მიზანს უნდა წაროადგენდეს პიროვნებისა და საზოგადოების მრავალმხრივი შესაძლებლობების ინტეგრალური ცოდნა, რაც სამართლებრივი სფეროს წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს სიღრმისეულად გააანალიზოს მომხდარი ფაქტი, მასში სუბიექტის მონაწილეობის ყველა სიღრმისეული დეტალი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა.

ამ მიმართულებით არაერთი თეორია არსებობს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შორსაა იმისგან, რასაც ინტეგრალური აზროვნება გულისხმობს. კერძოდ, ესაა არა მხოლოდ უკვე ცნობილი კავშირებისა და მოვლენების ერთიანობით ჩამოყალიბებული შედეგები, არამედ ისეთი მოვლენების ერთიანობის შედეგი, რომელთა შორის რაიმე კავშირის არსებობაც კი დღეს სრულიად შეუძლებლად გვეჩვენება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანი ბუნების შვილია და ისევე როგორც ბუნება, მისი

შესალებლობებიც ამოუწურავია. ამიტომ სამართალი, ისევვე როგორც სხვა – ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებები უნდა ეძიებდეს ადამიანსა და სამყაროში ამ უნიკალურ კავშირებს და მათთან ერთად აკეთებდეს საკუთარ დასკვნებს უფრო მეტი სამართლებრივი თავისუფლებისა და პროგრესისათვის.

ინტეგრალური აზროვნება შესაძლებლობას მოგვცემდა მიგვეღწია სამართლებრივი თავისუფლების, როგორც ინდივიდისა და მთელი საზოგადოების ერთ-ერთი უმაღლესი მიზნის განორციელებისათვის. მასში თავს მოიყრიდა ასევე წარსულის, აწმყოსა და მომავლის კულტურული მიღწეები, რაც სამართლებრივი მენეჯმენტის აუცილებელი საფუძველია, ვინაიდან მათი გათვალისწინების გარეშე ყველაფრის ნოლიდან დაწყება მოგვიწევს.

ყოველივე ეს ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში ჯდება, ამიტომ სამართლებრივი თავისუფლებაც ამ ფარგლებში მოიაზრება და არ ვცდილობ მისი ან ადამიანური მრავლისმომცველობის გადაჭარბებულ შეფასებას, ვინაიდან მიუხედავად ინდივიდის სიახლოვისა ღმერთთან, იგი მაინც არაა ყოვლისშემძლე ღმერთი.

ადამიანებს აქვთ გარკვეული **მიზნები ამბიციების სახით** – მიაღწიონ მიუღწეველს, და ხშირად ეს ამბიციები არ შეესაბამება მათსავე შესაძლებლობებს და იწვევენ ინდივიდში სტრესს, აგრესიას, გაბოროტებას სხვათა წარმატების მიმართ ან, პირიქით, სასიცოცხლო ძალების შემცირებას, მოდუნებას და ბრძოლის უნარის დაკარგვას, მაგრამ ამბიციები სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ადამიანი ცდილობს მოიძიოს ჯერ კიდევ გამოუყენებელი ლატენტური შესაძლებლობები და მართოს როგორც საკუთარი, ასევე საზოგადოებრივი სფერო.

ვერ დავეთანხმები ნიბურის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ამბიციებით ადამიანი ცდილობს დამალოს საკუთარი სისუსტე, უმნიშვნელობა და შიში, რომელიც მის ბუნებაში არსებობს.

ამბიციები ვერ დამალავს ადამიანურ სისუსტეებს, პირიქით, სწორედ ამბიციებში მჟღავნდება მისი შეუსაბამობა საკუთარ შესაძლებლობებთან, თუმცა ხშირად სწორედ ამბიციები ანიჭებს მას უპირატესობას სხვებთან შედარებით და აყენებს განსაკუთრებულ მდგომარეობაში – ხსნის მასში ლიდერის თვისებების გამოვლენის შესაძლებლობებს და თუ ეს თვისებები ინდივიდში მართლაც არსებობს, ჩვენს თვალწინ იბადება ჭეშმარიტი პიროვნება – ლიდერი, რომელსაც ხელეწიფება საზოგადოების მართვა და მისი პროგრესი.

ამგვარად, ამბიციური მიზნები ხშირად დროის მოთხოვნაა და სრულად ამართლებს ამბიციების მქონე ინდივიდის რისკს და მთელი საზოგადოების მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, ამბიციები, არცთუ იშვიათად, დაკავშირებულია გარკვეულ **რისკთან,** მაგრამ ადამიანური არსებობის, მისი მთელი ისტორიაც და მომავალი პროგრესისაკენ სწრაფვის სურვილიც ხომ რისკის შემცველია! **ამიტომ, სამართლებრივი თავისუფლება და მისი პოლიტიკური მენეჯმენტი მოითხოვს ლიდერისაგან სწორედ ისეთი ამბიციური მიზნებისა და რისკების რეალიზებას, რომლებიც წარმატებას უზრუნველყოფენ და რომლებშიც მისი განსაკუთრებული ინტეგრალური თვისებები მჟღავნდება.**

ბუნებრივია, ასეთი რისკები და ამბიციური მიზნები ყოველთვის ვერ ამართლებს და ინდივიდიცა და საზოგადოებაც მათი რეალიზაციისათვის მზად ინდა იყოს, მაგრამ რისკი და ამბიციური მიზანი მაინც აუცილებელია, რათა გამოაფხიზლოს ადამიანებში არსებული მთვლემარე ენერგია და პირველ ეტაპზე თუ არა, მომავლისათვის მაინც განსაზღვროს მათი წარმატება.

ადამიანური თავისუფლების ზღვარი ადამიანური შესაძლებლობების საზღვარზე გადის, რომელიც, თანდათანობით და განუწყვეტლივ ფართოვდება. ამასთან, ადამიანს გააჩნია ტრანსცენდენტალური ყოფიერების უნარი, რომლის მეშვეობით თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე იგი, იმდენად მონდომებულია – მიაღწიოს მეტ თავისუფლებას, რომ პოულობს ყველა საშუალებას ამ მიზნის მისაღწევად და სარეალიზაციოდ. ამგვარად, ყველა ფანტაზიასა და წარმოსახვას, შეგრძნებასა და ნააზრევს ადამიანი ადრე თუ გვიან აღწევს და ასე დაუსრულებლად ფართოვდება თავისუფლების საზღვრებიც.

თუმცა, ადამიანის მიზანს არ წარმოადგენს აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში იკარგება თვით ადამიანის არსი, მისი ყოფიერების ინტეგრალური თვისება – იყოს მუდმივ ძიებაში, რაც მის ცხოვრებას საინტერესოს, მიზანდასახულსა და ბედნიერს ხდის.

ამასთან, თუ ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში, როგორც ეგზისტენციალისტები მიუთითებენ, მან შეიძლება აირჩიოს, როგორც ღვთისაკენ და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა, ასევე მისი საპირისპირო მიმართულება. ამიტომაა, რომ ადამიანი ყოველთვის რჩება უბრა-

ლო მოკვდავად და ვერასოდეს მიაღწევს ღვთაებრივ სიმაღლეებს.

აქედან გამომდინარე, **ადამიანი არის თავისუფლებისა და აუცილებლობის ერთიანობა,** რომელიც მოიცავს იმ უსასრულო შესაძლებლობებს, რომლებსაც ფლობს, ერთი მხრივ, ინდივიდი, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოება და სამყარო, რომელთა შორის ინდივიდს უხდება თავისუფლების საზღვრების შემდგომი გაფართოება. ამ სიმრავლეთა უსასრულობაში ადამიანი, ერთი მხრივ, თავისუფალია, ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდული – შეიმეცნოს სრული ჭეშმარიტება და კანონზომიერება. ამიტომ, ღმერთისაგან ბოძებული თავისუფლება შეიძლება იქცეს მისივე შეზღუდვის მიზეზად.

ამ სიტუაციაში ეგზისტენციალისტები გამოსავალს პოულობენ საკუთარი "ეგზისტენციის", ინდივიდუალურის, ღრმად ემპირიულის, მაგრამ არა აზროვნებითი "მეს" გაცნობიერებასა და მისადმი მორჩილებაში. ჩემი აზრით, ეს გზა მისაღებია, თუმცა არასაკმარისი, ვინაიდან მრავალმხრივი ინტეგრალური აზროვნების გარეშე ინტუიციითა და შეგრძნებებით გახსნილი და განათებული საკუთარი "ეგზისტენცია" ვერ გამოვლინდება და ვერ შეძლებს პრაქტიკულ რეალიზებას, რაც მისი არარსებობის ტოლფასია.

სამართლებრივი თავისუფლების პოლიტიკური მენეჯმენტი ასევე მოიცავს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს **სამართლებრივი მენეჯმენტის** სახით, რომელიც გელისხმობს შიდასამართლებრივი სფეროს მართვას.

სამართლებრივი მენეჯმენტი ემყარება **სამართლებრივ იდეოლოგიას,** რომელიც **პოლიტიკური იდეოლოგიითაა ნასაზრდოები** და როგორიცაა პოლიტიკური იდეოლოგია, ასეთივეა სამართლებრივი იდეოლოგიაც და სამართლებრივი მენეჯმენტიც. მაგალითად, დემოკრატიულ ლიბერალურ იდეოლოგიას თან ახლავს დემოკრეტიული და ლიბერალური სამართლებრივი იდეოლოგია. მაგრამ იმის გამო, რომ დემოკრატია თავისი სრული ფორმით ჯერაც არ არსებობს და იგი არაერთი ნაკლის შემცველია, განსაკუთრებით ჩვენში, სამართლებრივი სფერო, რომელიც პოლიტიკისაგან დამოუკიდებელ მენეჯმენტს უნდა ქმნიდეს, ჯერ კიდევ მისი ზეგავლენის ქვეშაა და ეს ზეგავლენა ხშირად მახინჯ და ტოტალიტარულ ფორმად წარმოგვიდგება.

ამის ნათელი მაგალითია ჩვენი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ისეა დაკომპლექტებული, რომ ოპოზიციური ძალები ან მაჟორიტარი კანდიდატები მასში ამინდს ვერ ქმნიან და სამწუხაროდ, ვერც ერთი მათი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივა, გარდა წვრილმანი მოთხოვნებისა, ვერ აისახება პარლამენტის მიერ მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტებში და ვერ რეალიზდება პრაქტიკაში. ამას ემატება სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საპროკურორო მენეჯმენტის ზეგავლენა, რაც ასევე არადემოკრატიულ სახეს უქმნის სახალმწიფოს.

მაგრამ ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც დემოკრატიულობის ხარისხი გაცილებით მაღალია, პოლიტიკური იდეოლოგიის გავლენა სამართლებრივ თავისუფლებაზე, სამართლებრივ იდეოლოგიასა და სამართლებრივ მენეჯმენტზე კვლავ ინარჩუნებს გადამწყვეტი ფაქტორის ადგილს. არადა, დემოკრატია ხალხის – დემოსის მმართველობას ნიშნავს და არა პოლიტოკრატიას. ამიტომ სამართლებრივი თავისუფლების, მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი და მისი მენეჯმენტის წარმმართველი სწორედ ხალხი უნდა იყოს და არა პოლიტიკა, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ქმნიან და რომლებიც, თავის მხრივ, მოიპოვებენ რა ძალაუფლებას, ხშირად სრულიად საპიროსპიროდ წარმართავენ მათი ამომრჩევლების და მათთვის ამ ძალაუფლების მიმნიჭებელი საზოგადოების მიერ ამ პარტიებისათვის ან მაჟორიტარი კანდიდატებისათვის დელეგირებულ უფლებებსა და მოთხოვნებს.

პოლიტიკური მენეჯმენტი რთული აგებულებისაა და მასში ასახვას პოულობს საზოგადოებრივი მართვის ყველა სფერო, მათ შორის სამართალიც. ამასთან, პოლიტიკური მენეჯმენტი სამართლებრივ მენეჯმენტთან ერთად საზოგადოებისა და მთელი სახელმწიფოს საზრისის, მისი დემოკრატიულობის ხარისხის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სწორედ მათი დემოკრეტიულობის ხარისხით დგინდება ამა თუ იმ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი და **პოლიტიკურ-სამართლებრივი ღირებულება.** ამიტომ, პოლიტიკური მენეჯმენტი მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებებით უნდა შემოიფარგლოს, ხოლო სამართლებრივი მენეჯმენტი და საზოგადოების ყველა სხვა სფეროს მმართველობის თავისებურებები ისე უნდა ავსებდეს და ამდიდრებდეს მას, რომ შესაძლებელი გახდეს პოლიტიკურ მენეჯმენტში მთელი საზოგადოებისა და კონკრეტული ინდივიდების მოთხოვნების გათვალისწინება, მათი დაკმაყოფილება და პროგრესული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც არ იქნება გაჟღენთილი მხოლოდ სუბიექტური პოლიტიკური ნებით.

სამართლებრივი მენეჯმენტის ერთ-ერთი შემადგენელი სფეროა **რელიგიური სამართალი,** რომელიც სამართლებრი თავისუფლების ერთადერთ საფუძვლად ღვთაებრივ განსაზღვრულობას აღიარებს. ამ ლოგიკით, ადამიანის აქტიურობაცა და თავისუფლებაც ღვთაებრივადაა განსაზღვრული. ამიტომ ადამიანური მცდელობა – შეცვალოს ღვთაებრივი წინასწარგანსაზღვრულობა შეუძლებლად მოჩანს. მაგრამ ცნობილია, აგრეთვე ადამიანის აქტიური ბუნების, მისი გარდამქმნელი შესაძლებლობების შესახებ, ასევე ეგზისტენციალისტების მიერ ჩამოყალიბებული – ღია შესაძლებლობების არსებობის შესახებ, რაც ადამიანურ მრავლისშემძლეობაზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს და რელიგიის მაღალ ღირებულებით პოტენციაზე მიგვითითებს, ვინაიდან ღმერთისაკენ სავალი გზა – ესაა მრავალხრივი უნარების შეცნობისა და გამოვლენის შესაძლებლობა, ანუ გზა თავისუფლებისაკენ, რომელსაც საფუძვლად სიცოცხლის სიყვარული და მისგან მიღებული შედეგები უდევს სულიერი ამაღლებისა და ჰუმანურობის სახით. და მიუხედავად იმისა, რომ "ადამიანის სულიერებას ვერ დააკავებ ვერც ბუნებრივი აუცილებლობის ჩარჩოებში და ვერც გონივრული წინდახედულობით, მის უსასრულობისაკენ ანუ ღმერთისაკენ სწრაფვაში მოჩანს" მისივე განუზომელი სურვილი თავისუფლებისაკენ, სიცოცხლის გადარჩენისა და დახვეწისათვის, რაც ააქტიურებს კიდეც მას.

სამეცნიერო ლიტერატურაში თავისუფლებას განიხილავენ როგორც წმინდა სუბიექტურ მოვლენას. აქედან გამომდინარე, კი მიიჩნევენ, რომ იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ რეაგირებს ისტორიის მსვლელობაზე. მაგრამ გააჩნია პიროვნებას, თუ რამდენად ფლობს იგი საზოგადოებრივ აზრს, მოთხოვნებს, სიტუაციასა და იმ ლოგიკურ შედეგების განსაზღვრის უნარს, რაც მიმდინარეობს საზოგადოებაში. და მიუხედავად იმისა, რომ ნიბურის აზრით, ისტორიის ფარულ ლოგიკას ვერ სწვდება ადამიანული აზროვნება, მიმაჩნია, რომ ისტორია ადამიანის შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგია. ამიტომ მომავლის გათვლის ტექნოლოგია მომავალში თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური აზროვნების განვითარებით იქნება შესაძლებელი. სწორედ ასეთი მიდგომა მოგვცემს საშუალებას შევქმნათ უკეთესი საზოგადოება, სადაც სამართლიანობა და უანგარობა დამკვიდრდება.

მართალია, ადამიანის ცხოვრება ხანმოკლეა და ერთი ადამიანი ვერ ასწრებს ერთი რომელიმე პრობლემის მოგვარებას, რომ მაშივე ახალი პრობლემების მთელი კასკადი იჩენს თავს, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ერთეულებისაგან არ შედგება და ერთი ადამინის მიერ დაწყებულ საქმეს მეორე აგრძელებს და ასე დაუსრულებლად. ასე რომ არ ხდებოდეს, არც პროგრესი გვექნებოდა და ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად მისი იდეებიც გაქრებოდა. ადამიანი ერთდროულად დიდიცაა და პატარაც. ადამიანი დიდია სწორედ იმიტომ, რომ იგი ახალი იდეების შემოქმედი და განმახორციელებელია, მაგრამ ადამიანის პატარაა, ვინაიდან იგი ცოცხლობს მანამ, სანამ მისი იდეები ცოცხლობენ და ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

მართალია, ადამიანი ემორჩილება ღვთაებრივ კანონზომიერებას, მაგრამ ვინაიდან მას ღმერთისადმი და საკუთარი ძალებისადმი რწმენაც აქვს და შემოქმედებითი აქტიურობაც აქვს მინიჭებული, ამით მას შანსი ეძლევა მის მიმართ არსებული ღვთაებრივი განწყობა შეცვალოს, ანუ აუცილებლობას თავისუფლების რწმენის უდიდესი ძალა დაუპირისპიროს და ხანდახან გაიმარჯვოს კიდეც, ვინაიდან ადამიანური ისტორია პროცესია, სადაც დომინირებული ადგილი სწორედ კონკრეტულ ადამიანს და ადამიანთა მთელ საზოგადოებას უკავია. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნებოდა თავისუფლებაზე, მისი ისტორიის მართვასა და ბედნიერებაზე საუბარს. არც მათი შემფასებელი იქნებოდა ვინმე და არც არავითარი განსხვავება იქნებოდა სხვა არსებებსა და ადამიანს შორის.

ჭეშმარიტი საზოგადოება კი პიროვნებებისაგან უნდა შედგებოდეს, რომლებსაც უნარი შესწევთ გააზრებულად მართონ და წარმართონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მომავალი. შექმნან სამართლიანი, ჰუმანური და უანგარო საზოგადოება. ასეთ საზოგადოებას **პიროვნულ-ადამიანური საზოგადოება** შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც შეძლებს გაათავისუფლოს ადამიანები ბუნებაში არსებული უთანასწორობისგან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთნი ნიჭიერები იბადებიან, მეორენი – უნიჭოები, ერთნი – ლამაზები, მეორენი – მახინჯები და ა.შ. სწორედ ეს უსამართლობა წარმოშობს სოციალურ უსამართლობას. ამიტომ ისევ საზოგადოებამ საკუთარი ძალებით უნდა შექმნას მისი დაძლევის პირობები. ეს პირობები კი უთავრესად სამართალზე გადის. სწორედ სამართალი უნდა იყოს სამართლიანი, რომელიც არა მხოლოდ თვითონ უნდა ემორჩილებოდეს პოლიტიკას, არამედ თავის სამართლიან

გადაწყვეტილებებში უნდა განამტკიცებდეს მას და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდეს, რათა დაამკვიდროს ისინი პრაქტიკაში და ამით პოლიტიკასაც სამართლიანს ხდიდეს. ამისათვის კი ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა – გზა სიცოცხლის გადარჩენისა და შემდგომი დახვეწისაკენ დედამიწაზე. სწორედ ეს გზაა, რომელიც ადამიანში არსებული **ადამიანურისა და ღვთაებრივის ერთიანობას** ჭეშმარიტი მიზნისკენ მიმართავს და შედეგად მის სულიერ პროგრესს, უზრუნველყოფს.

პიროვნული თავისუფლება, რომლითაც თავისუფლების მართლაც განუსაზღვრელ ფარგლებს შემოსაზღვრავენ მეცნიერები, სრულიად ეწინააღმდეგება მის ჭეშმარიტ არსს, ვინაიდან მხოლოდ ერთეულთა თავისუფლება არ ნიშნავს საზოგადოების თავისუფლებას, ხოლო საზოგადოების თავისუფლების გარეშე ცალკეულ ინდივიდთა თავისუფლება არ იქნება სრულყოფილი. ამიტომ ინდივიდისა და საზოგადოების ჭეშმარიტი თავისუფლება არ დაიყვანება მხოლოდ რაციონალურ ან ეგზისტენციალურ თავისუფლებაზე. უცილებელია მათი შედეგების პრაქტიკული რეალიზაციაც, რომელიც სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მენეჯმენს მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ სულიერი ფაქტორებით, რომელიც, თავის მხრივ, იმდენად ფართოა, რომ როგორც პ. ტილიხი მიუთითებს, ადამიანი ფლობს რა უმაღლეს თავისუფლებას, შემოქმედების პროცესში, იგი კიდეც ეკუთვნის რეალურ სამყაროს და კიდეც ეწინააღმდეგება მას. ამით იგი თავისუფლდება ჩვეულებრივი არსებობისაგან. თავისუფლების დროებითი ხასიათიც კი, რომელზედაც საუბრობს პ. ტილიხი, არ გამორიცხავს ნების, აზროვნებისა და მოქმედების თავისუფლებას, რეალურისა და ზერეალურის ფაქტორებს, რომლებშიც პოლიტიკურ-სამართლებრივ მენეჯმენტს განმსაზღვრელი ადგილი უკავია და ქმნის "მეს", "არამესა" და "სხვას"- ერთობლიობას.

თავისუფლების პრობლემებზე მსჯელობისას მეცნიერები ხშირად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს **ბედისწერის შესახებ.** პ. ტილიხის აზრით, "ბედისწერიდან გამომდინარეობს ჩვენი გადაწყვეტილებები, ბედისწერაა საფუძველი ჩვენი კონცენტრირებული პიროვნულობის, ჩვენი კონკრეტული ყოფიერებისა. ბედისწერა არაა უცხო ძალა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება მოხდეს. ესაა საკუთარი "მე", რომელიც განსაზღვრულია ბუნებით, ისტორიითა და ბედისწერით". "თავისუფლება და ბედისწერა თითოეულ ინდივიდში ისეა ერთმანეთთან შეერთებული, – წერს ავტორი, – რომ შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა".

მიმაჩნია, რომ ბედისწერა – აუცილებლობაა, რომელიც თან სდევს ადამიანს, მაგრამ არ წარმოადგენს მის შინაგან ბუნებას, თუმცა კი მოქმედებს მასზე და ან ათავისუფლებს, ან ზღუდავს ინდივიდს. და მაინც, ბედისწერა აუცილებლობაა და არა თავისუფლება, ვინაიდან მისი მოქმედება ჩვენზე არაა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით ბედისწერა და თავისუფლება ორი ურთიერთსაპირისპირო მოვლენაა. და მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება და აუცილებლობა ერთმანეთს განაპირობებენ, მაინც **სწორედ თავისუფლებაა უმაღლესი მიზანი და უმაღლესი ღირებულება და არა აუცილებლობა, ვინაიდან აუცილებლობა აიძულებს და თრგუნავს, ხოლო თავისუფლება სულიერად ამაღლებს და ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს. თავისუფლებას, ისევე როგორს სიცოცხლესა და სიყვარულს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, ვინაიდან ძალისხმევის ოდნავი მოდუნებაც კი მისი დაკარგვის საშიშროებას ქმნის. თავისუფლების გარეშე კი უმთავრესი ღირებულება – ჭეშმარიტად ადამიანური არსებობა დგება ეჭვქვეშ.**

ბედისწერა მოქმედებს არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებზე, არამედ ერებზე, სახელმწიფოებზე და და ა.შ. თუ არა თავისუფლება, რომელიც ინტეგრალური აზროვნების, ქვეცნობიერ-ინტუიციურისა და ფიზიკურის ერთიანობაა, მხოლოდ ბედისწერის მიერ ბოძებული თავისუფლების იმედით მათი არსებობაც კი საეჭვოა, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სამართლებრივ და პოლიტიკურ მართვასა და პროგრესზე, რაც სწორი მენეჯმენტის პირობებშია შესაძლებელი.

ამგვარად, სწორედ თავისუფლება წარმოადგენს ადამიანური სიკეთეების, მიზნებისა და ღირებულებების არსებობის პირობას, რომლებიც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობით იქმნება ნებისმიერ სფეროში. როგორც რ. ფლუელინგი მიუთითებდა: "იმისათვის, რომ ვიხსნათ სამყარო განადგურებისაგან, აუცილებელია აქცენტი გავაკეთოთ სულიერ ღირებულებებზე". სულიერ ღირებულებათა შორის კი, თავისუფლება შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც პოლიტიკურ-სამართლებრივი მენეჯმენტს განსაკუთრებულ მოქნილობასა და ლიბერალურობას ანიჭებს. ასეთი სამართალი და პოლიტიკა კი ისეთი სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი საზოგადოების საფუძველია, სადაც ერთი ადამიანის თავისუ-

ფლება არ დამთავრდება იქ, სადაც მეორე ინდივიდის თავისუფლება დაიწყება.

ჭეშმარიტად პიროვნული თავისუფლება არ შეიძლება იყოს სხვათა თავისუფლების გარეშე. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ, აფართოებენ და აღრმავებენ ურთიერთთავისუფლების საზღვრებს. პიროვნულ თავისუფლებას მხოლოდ სხვათა თავისუფლების გვერდით გააჩნია აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოსაწყენი და არაფრისმომცემი იქნება. თვით ღმერთმაც კი თვითრეალიზაციისა და თვითგამოვლენისათვის შექმნა ადამიანი და მთელი სამყარო. მეორე მხრივ, საზოგადოება, რომელშიც არ იქნებიან ნიჭიერი და გამორჩეული თავისუფლების მქონე ინდივიდები, ერთფეროვანი და უსახური იქნება.

საზოგადოება უნდა ქმნიდეს ისეთ პირობებს, რომელიც ხელს შეუწყობს განდაკუთრებული ნიჭისა და უნარების ადამიანების გამოვლენას, რომლებიც შეძლებენ მომავლის პროგნოზირებას, განჭვრეტენ შესაძლო შედეგებს, პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიული დებულებების განხორციელებას და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. მხოლოდ ასეთ საზოგადოებას ძალუძს გაუგოს პიროვნებას, მის მოთხოვნებს, ინტერესებს, ღირებულებებსა და სამართლებრივი თავისუფლების აუცილებლობას. და მიუხედავად ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მოთხოვნებს შორის გასხვავებისა, მათ აერთიანებთ მთავარი მიზანი – ესაა თვითშენახვისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო გამოვლინება – სიცოცხლე, მისი შენარჩუნება, დახვეწა და სრულყოფა.

როგორც არაერთხელ მივუთითეთ, თავისუფლება გარკვეულ შეზრუდვებსაც გულისხმობს, რომელთა შორის სამართლებრივი, პოლიტიკური, მორალურ-ეთიკური და ა.შ. შეზღუდვების გარდა **პიროვნული თავშეკავების** მომენტიც იგულისხმება. უფრო მეტიც, თავისუფლება და თავშეკავება განუყოფლად არის მიჩნეული. ამასთან, თვითშეკავება და თვითკონტროლი თავისუფლების მისაღწევ ერთადერთი გზადაა აღიარებული, ხოლო აქედან გამომდინარე, კანონის მიზანი მდგომარეობს – რ. ფლუელინგის აზრით, იმაში, რომ ვაღიაროთ ის საზღვრები, რომლის მიღმა ადამიანს არ შეუძლია გადმოსვლა. მაგრამ კანონის ძალა მდგომარეობს ინდივიდების კეთილ ნებაში, უნარებსა და სურვილში განახორციელოს თვითშეკავება საერთო საქმის საკეთილდღეოდ. ამის გარეშე ვერც ერთი კანონი ვერ დამკვიდრგება ცხოვრებაში.

თავისუფლება უშუალო კავშირშია მოთხოვნებთან, რაც თავის მხრივ სამართლებრივი თავისუფლებისა და მისი პოლიტიკური მენეჯმენტის სრულყოფას გულისხმობს. ეს მოთხოვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი ცხოვრებაში რეალიზაციისათვის უნდა მუშაობდეს ყველა საინფორმაციო, პოლიტიკური, აღმზრდელობითი სფერო, რათა ყველა გზა სამართლებრივი და ძლიერი სახელმწიფოსა და საზოგადოების შექმნისაკენ მიდიოდეს, რათა იგი საზოგადოების ყველა წევრისათვის გასაგები და გათავისებული გახდეს. მხოლოდ ასეთი დაუღალავი შეგონებებითა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებით შეიძლება გახდეს ადამიანი, საზოგადოება და სახელმწოფო სამართლებრივად თავისუფალი, ისევე როგორც მელომანად ადამიანი ხდება მხოლოდ მუსიკის ხშირი მოსმენითა და სწავლით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრს საუბრობენ **პროფესიონალიზმის** მნიშვნელობაზე ნებისმიერ სფეროში და თვლიან, რომ მაღალი პროფესიონალურობა ინდივიდის თავისუფლებას განაპირობებს, რამეთუ იგი უზრუნველყოფს მის მატერიალურ პირობებს, რომლებიც, თუ ამერიკელ სოციოლოგებს დავუჯერებთ, თავისუფლების ლამის ერთადერთი საფუძველია. ამასთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ მხოლოდ ერთ სფეროში ჩაკეტვა, თუნდაც ამ სფეროში საუკეთესო განათლებისა, არ მოგვცემს პროგრესს სიახლეების ძიებისა და პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე კი – არც ჭეშმარიტ თავისუფლებას.

ამიტომ პროფესიონალიზმი აუცილებელია, მაგრამ არა ისეთი შემოქმედებითი სიღარიბის პირობებში, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე უცხოურ ოფისებშიც კი, რომლის პერსონალი მხოლოდ ამ დაწესაბულების ან ფირმის ხელმძღვანელის ნებას უნდა ასრულებდეს ყოველგვარი პირადი ინიციატივის გარეშე, როგორც მექანიკური სათამაშო. ასეთ პროფესიონალებს აშკარად ემუქრება გაუცხოება, რასაც არაფერი აქვს საერთო თავისუფლებასთან.

სრულიად ვეთანხმები პროფესსორ ნიკო ჭავჭავაძეს, რომლის მიხედვით: "ადამიანი თავისუფლად ქმნის მაშინ, როდესაც სამყაროში შემოაქვს პრინციპულად ახალი, მანამადე არარსებული" ".

თავისუფლების პრობლემა, ბუნებრივია რისკის ფაქტორთანაა დაკავშირებული, მაგრამ აქ რისკი გამართლებულია, ვინაიდან თავისუფლება ინტეგრალურ აზროვნებასთან ერთად ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმუმს მოიცავს და ამიტომ შეცდომის დაშვების შესაძლებლობაც მინიმუმამდეა დაყვანილი.

სამართლებრივი თავისუფლება წარმოადგენს აუცილებელ პირობას სრულყოფილი სამართლებრივი სამყაროს ზოგადსაკაცობრიო მიზნების ჩამოყალიბების საქმეში. ამიტომ, მისკენ სწრაფვა ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მუდმივი ატრიბუტია. ამ თვალსაზრისით, **სამართლებრივი თავისუფლება სამართლებრივი იდეოლოგიასთან** თანასწორ პოზიციაზეა, ვინაიდან სწორედ სამართლებრივი იდეოლოგიით მოიპოვებს ადამიანი შესაძლებლობას თავისუფლად იაზროვნოს, განიცადოს და შესაბამისად იმოქმედოს სამართლებრივ სივრცეში.

სამართლებრივი იდეოლოგიის ზოგადსაკაცობრიო მიზანი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანისა და მთელი საზოგადოების სამართლებრივი აზროვნების და შეგნების გარდაქმნა, მეტად მნიშვნელოვანია. მისით შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობების ჰარმონიზირება, ადამიანთა სამართლებრივი კულტურის ამაღლება და ამ თვალსაზრისით, წარსულის გამოცდილების გათვალისწინება, თანამედროვეობის დაფიქსირება და შენახვა, მომავლის განჭვრეტა და პროგნოზირება.

აქედან გამომდინარე, იდეოლოგიას აქვს სამართლიანობის დამკვიდრების მიზანიცა და საშუალებაც. მისი შესაძლებლობები გვარწმუნებს, რომ სამართლის მომავალი გაცილებით უფრო მეტად იქნება ორიენტირებული ჰუმანურობაზე, ვიდრე ეს დღევანდელი სამართლითაა შესაძლებელი. ამ დასკვნის საფუძველია ის პოლიტიკური პროცესებიც, რომლებიც მართალია ნელა, მაგრამ მაინც ჩვენს თვალწინ ვითარდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ძლიერი ცივილიზებული სახელმწიფოების ძალისხმევით.

სამართლებრივად გამართული და ჰუმანური იდეოლოგია უდევს საფუძვლად სამართლებრივ თავისუფლებას, რომელიც დღეს უკვე სცდება ერთი რომელიმე, თუნდაც ყველაზე განვითარებული ქვეყნის ფარგლებს და ღებულობს ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ და პიროვნულ ინტეგრალურ ხასიათს, რომელიც საერთო და მისაღებია ყველასათვის. მართალია, ამ თვალსაზრისით საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ინსტიტუტები ჯერ კიდევ რჩება ზოგადსაკაცობრიო და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების მიღმა, მაგრამ გლობალიზაციის მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ალბათ საერთაშორისო მოთხოვნები მომავალში მათაც შეეხება.

სამართლებრივი იდეოლოგია თან ახლავს პოლიტიკურ გარემოს და მასთან ერთად განიცდის ცვლილებებს. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, თავისუფალი სამართლებრივი იდეოლოგია შეიძლება იქცეს ახალი პოლიტიკური განწყობის და, შესაბამისად, მისი შეცვლის საფუძველი, მეორე მხრივ, პოლიტიკური ნოვაციები უშუალოდ აისახება სამართლებრივ იდეოლოგიაზე და იწვევს მის მოქცევს პოლიტიკის ჩრდილქვეშ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, ვეღარ ვიმსჯელებთ სამართლებრივი იდეოლოგიის თავისუფლებაზე, ვინაიდან სამართალი მოემსახურება ერთპარტიულ ინტერესებს.

თავისუფალი სამართლებრივი იდეოლოგია კი მართლაც სასწაულებს ახდენს. ადამიანები ხდებიან თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დამცველები და მფლობელები, რაც მათ ერთობას ჭეშმარიტად ლიბერალურ და სამართლიან საზოგადოებად აყალიბებს, ხოლო სამართალს – ფილომენურ ანუ სიცოცხლისმოყვარულ საშუალებად აქცევს.

თანამედროვე სამართლებრივი იდეოლოგია უშუალოდ უკავშირდება ჩვენს დღევანდელობას, რომელიც სავსეა სიახლეებისაკენ სწრაფვით, რაც მსოფლიოს სამართლებრივი სისტემის ინტეგრალურ ერთიანობასა და ახალი კავშირების წარმოშობასა და დამკვიდრებას გულისხმობს. დღეს ადამიანის ისეთ განსაკუთრებულ აქტივობებთან გვაქვს შეხება, რომელიც ადრე არ არსებობდა არც პოსტსაბჭოთა და არც განვითარებულ ქვეყნებში. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ადამიანები თითქმის მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული დემოკრატიული და საბაზრო ურთიერთობების ზეგავლენით თავისი შესაძლებლობების მხოლოდ მაქსიმუმის გამოვლენით ახერხებენ არსებობის შენარჩუნებას. ეს ერთგვარ შეჯიბრებითობას ემსგავსება, რათა სხვამ არ გაჯობოს. ამ შეჯიბრში კი ის იმარჯვებს, ვინც უფრო კარგად ფლობს საუკუნეების მანძილზე დაგროვილ და დღეს კიდევ უფრო კარგად დახვეწილ და მელიის ტყავში გახვეულ "მგლურ" ხერხებს.

ამიტომ დღევანდელი მსოფლიო თავგამოდებით მიექანება იმ უფსკრულისაკენ, რასაც სულიერი ჯოჯოხეთი ჰქვია და თუ სწრაფად ვერ მოვახერხებთ მათი ყურადღების შემობრუნებას ჰუმანური, კაცთმოყვარე და სიცოცხლისმოყვარე იდეებისაკენ, მერე მართლაც ძალზე გვიან იქნება.

აქედან გამომდინარე, ინდივიდის აქტივიზაცია, თუ მას ჰუმანური მიზნებიც არ ახლავს დადებით შედეგს ვერ მოგვცემს.

გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ჩვენი რეალობა, რომელიც უშუალოდ ასახავს ჩვენი ეპოქისა და მთელი საზოგადოებისათვის აუცი-

ლებელ საკითხებს, და რომლებიც აიძულებენ ადამიანებს ჩაუღრმავდნენ საკუთარ არსს და აღმოაჩინონ საკუთარ "მეში" ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი შესაძლებლობები. სწორედ თავისუფალ იდეოლოგიას შეუძლია დააყენოს ადამიანის აქტივიზაციის პრობლემებისა და შემოქმედებით-სამართლებრივი უნარების გადაწყვეტის საკითხი. იდეოლოგიამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ დაამტკიცა, რომ მას ძალუძს ჰუმანური იდეალებისაკენ და მიზნებისაკენ ჭეშმარიტი გზის ჩვენება, რომ იდეოლოგია, როგორც ინტუიციურ-აზრობრივი საშუალება წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას სამართლებრივი თავისუფლების შემდგომი სრულყოფისათვის.

ამგვარად, სამართლებრივი თავისუფლება და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საშუალება და როგორც მიზანი, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი და ინდივიდუალურ-სოციალური ღირებულება, რომელსაც ძალუძს სამართლებრივი საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სადაც უმაღლესი ღირებულება და მიზანი იქნება არა კანონი, არამედ კონკრეტული ინდივიდი, ხოლო კანონები – სამართლიანობისა და თავისუფლების გარანტი და საშუალება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Nicbuhr. The nature and Desting of Man. N.Y. 1955.
2. Hofman H. Theplpgy of R. Nicbuhr. Priston. N.Y. 1955.
3. Шлайфер Н.Е. Свобода личности и исторический детерминизм. М.: Высшая школа, 1983.
4. Tillich P. Morality and Beyond. N.Y., Evanston, 1960.
5. Flewelling R.T. Conflict and Reconciliation of Culturs. Stockton, 1951.
6. Чавчавадзе Н.З. Культура и ценности. Тб. Мецниереба,1984, с. 38.

LEGAL FREEDOM AND ITS PHILOSOPHY – POLITICAL MANAGEMENT

NATELA MAISURADZE
Doctor of Law

In the monography autore considers likewise transfopmation and management for freedom law, goal, mean and result in law freedom; political will, as necessary mean by law transfopmation and cohesion personality, nationalitu and common in law freedom.